| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 28 აგვისტოს.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა, ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვეზერელი კოჩაშენი დიდის მწუხარებით აუწყებენ თავისის უსაყვარლესის დედის, სოფიო რომანის ასულის, გარდაცვალებას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ პანაშვიდზედ, რომელიც ყოველ დღე იქმნება გადახდილი, დილის 11 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. დასაფლავების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. ადრესი: კახეთის ქუჩაზედ, საკუთარს სახლებში. (1—1)

სასწავლებელი

ს. ბ. ჟორჟოლიანისა

(ქუთაისში)

უეგზამენოდ ყმაწვილებს მიიღებს 15 სექტემბრამდე. (10—3)

ტფილისი, 24 აგვისტო

ეკონომიური ყოფა - ცხოვრება გლეხისა უმამულოდ, უიარაღოდ და უსაქონლოდ, ცხადია, ისეთი მწარე და არა სანატრელი იქნებოდა, რომ ამას დიდი გამოცნობა არ უნდა. ამ გვარი მუშაკი მარტო თავის ძალ ღონით, ცალიერის ხელებით, დიდი ვერაფერი შვილი იქნება არც თავის ოჯახისათვის და არც თვით სახელმწიფოსათვის. ამიტომაც ყოველთვის, ყოველ რიგიანად მოწყობილს სახელმწიფოში უმაღლესი მთავრობა მუდამ იმის ზრუნვაში ყოფილა, რომ გლეხსა და საზოგადოდ მიწის მშრომელს რაიმე შემთხვევის გამო მამული, საქონელი და იარაღი არ გამოეცალოს ხელ იდგან, მეტი ბარგი არ გახდეს სახელმწიფოსთვის და პირნათლად იხადოს სახელმწიფო გადასახადი.

ძველს რომში კანონი არსებობდა, რომ კერძო ფულის გამსესხებელს ნება არა აქვს გაუყიდოს მოვალეს ვალში ყოველივე საცხოვრებელი, რადგან ამ გვარი საქციელი ხარბის ფულის გამსესხებლისა სულით-ხორცამდის დაჰქლუპავს მოვალეს და ამით ხომ დიდად აზარალებს სახელმწიფოსაცაო.

ასეთი შეხედულობა რომაელების კანონისა შეითვისა ყველა ევროპის სახელმწიფოს კანონმდებლობამ და სხვათა შორის რუსეთის მთავრობამაც. მეთორმეტე ტომში, გამოცემა 1857 წლისა, მოყვანილია რამდენიმე მუხლი (384—407), რომელიც უკრძალავს კერძო ფულის გამსესხებელს, გაუყიდოს გლეხს სამუშაო იარაღი და საქონელი, რაიც უპირველესს საჭიროებას შეადგენს მეურნეობაში და ურომლისოდაც გლეხი სრული ბოგანო შეიქმნება და ყოვლად უვარგისი, როგორც ხარჯის გამღები.

ზემოდ ნახსენები მუხლნი მეთორმეტე ტომისა შეეხებოდა მარტო სახაზინო გლეხთ. შემდეგში, როდესაც გამოიცა სოფლის დებულება, ეს მოთხოვნილება კანონისა გავრცელდა იმ გლეხებზედაც, რომელნიც განთავისუფლდნენ ბატონ-ყმობისაგან (მესამე შენიშვნა 24 მუხლისა). მაგრამ, დახე გლეხების ბედს, ახალ სამოსამართლო წესდებაში (суд. уставы) დაავიწყდათ მოეხსენებინათ, რომ ძველი კანონი ამ საგნის შესახებ გაუქმებული არ არისო. ამ უყურადღებობას გლეხის ეკონომიურ მდგომარეობისათვის სამწუხარო შედეგი მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ სასამართლოს ბოქაულნი ხელმძღვანელობენ მარტო სამოსამართლო წესდებით და რადგან აქ მოხსენებული არ იყო, რომ ხელს ვერავინ ახლებს გლეხის საქონელსა და სამეურნეო იარაღს კერძო ფულის გამსესხებლის დასაკმაყოფილებლადაო, გაუსვეს ბოქაულებმაც და რაც-კი რამ მოხვდებოდათ გლეხის ოჯახში, გუთანი, ფიწალი, თუ საქონელი, ყველას ნუსხავდნენ და საჯაროდ ჰყიდდნენ. ამ გვარი საქციელი სამოსამართლო ბოქაულებისა სულით-ხორცამდის ჰქლუპავდა გლეხის მეურნეობასა და ოჯახს.

სამოსამართლო წესდების (პირველი და მეორე პუნქტი 974 მუხლისა) ამ გვარ უხერხულებისათვის, რომელიც სრულებით არ შეეფერებოდა მთავრობის სურვილს, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია უმაღლესს სამოსამართლო დაწესებულებას—სენატს. რაკი სენატამდის მიაღწია ხმამ, რომ სამოსამართლოს წესდება ხელს უწყობს ფულის გამსესხებლებს და ისინიც უყიდიან გლეხს, რაც-კი რამ აბადიაო, 15 დეკემბერს 1869 წელს განმარტა, რომ სამოსამართლო წესდება სრულიადაც არ აუქმებს არც მეთორმეტე ტომის მუხლებს 384—407 და არც სოფლის დებულების 24 მუხლის მესამე შენიშვნას და მაშასადამე სასამართლოს ბოქაულნი მოვალენი არიან იხელმძღვანელონ ამ კანონებითაო. თუმცა ეს განმარტება სენატმა აუწყა ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს, მაგრამ სასამართლოს ბოქაულნი თავისას არ იშლიდნენ და გლეხის ქონება დაცული არ იყო ვალში გასყიდვისაგან, მაშინ სენატი იძულებული გახდა ხელ-მეორედ განემარტა, 11 იანვარს 1878 წელს, ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებისთვის, რომ აღუკრძალეთ ბოქაულებს აღნუსხვა და საჯაროდ გასყიდვა გლეხის მოძრავის ქონებისა ვალშიო. რაკი-ღა ვერც ამ მეორე განმარტებამ დაიხსნა გლეხის ქონება გასყიდვისაგან, სენატმა მესამედ 28 მაისს 1879 წელს მოაგონა, ვისაც ჯერ იყო, წესიერი განმარტება და აზრი კანონისა. თერთმეტი წელიწადი გავიდა ამ უკანასკნელ განმარტების შემდეგ და კიდევ ბევრჯელ მომხდარა, რომ სასამართლოს ბოქაულს გაესყიდოს საჯაროდ უკანასკნელი ცხენი გლეხისა რომელისამე სისხლის მწოველის ვალში. დღეს იუსტიციის სამინისტრომ ხელ-მეორედ გამოაქვეყნა სენატის განმარტება 1879 წლისა 28 მაისისა და აშკარაა კიდევ ხდება ეს სამწუხარო შემთხვევა.

ყველაზე მეტად საკვირველი ამ ისტორიაში სასამართლოს ბოქაულებისა და ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეების ჯიუტობაა. ნუ

## ფელეტონი

დროთა ბრუნვა

(შემდეგი)

### XI გამოსვლა

იგინივე, სოლო, გიორგი და მელო შემოდიან.

სოლო. მოწყალეო ბატონო, ნუ დაიშურებ ერთ გროშსა, ვარ უსმელუჭმელი, აგრემც შეგეწევათ დღევანდელი ბარძიმ-ფეშხუმის მადლი! ვა, დედი, გიტირნია?

მაია. გენაცვალე, შვილო, ჭკვიანად იყავი, მამაშენი არ გააჯავრო!

ბაბე. შვილო, იყავი უფროსთან?

სოლო. არა ეყოფილვარ და არც წაველ.

ბაბე. წადი გენაცვალოს დედა, ხომ იცი მამიშენის ხასიათი, ნუ ასტეხავ აყალ-მაყალს, მეტიც არ შემიძლიან.

სოლო. დედი, არ შემიძლიან! განა ის-კი არა კმარა, რო მამაჩემმა დამცირა თავი, რომ მეც ზედ არ მიჰყვე? სამსახურში ხომ მომდის, სხვა რაღა უნდა?

ბაბე, დაუთმე, შვილო, დაუთმე, მამაა, მოჩჩილება გმართებს.

სოლო. დედი, ტყუილადა ჰხარჯავ დარიგებას, მე იმასთან წამსვლელი არა ვარ, თუნდ მამაჩემმა თოფიც მესროლოს: თუ უნდა, უფროსი თითონ მოიძიოს.

მაია. კარგია, თუ ღმერთი გწამს, მაგრე ამპარტავნობაც არ ვარგა, არც არავინ მოგიწონებს. წადი, შვილო, წადი, ანუგეშე, თუ მამა არა, დედა მაინცა; ხომ ჰხედამ, ადამიანი ჯავრისაგან დაილია.

სოლო. ტყუილი ლაპარაკია, არც სამსახური მინდა, არც იქ წასვლა.

ბაბე. შვილო, გინდა დაგიჩოქო და ისე გთხოვო? აბა, შვილო, რა გვაქვს, რითი ვიცხოვროთ, სამსახურზედაც რომ უარს ამობ? ზამთარი აღარ გახსოვს, კაპიკი რომ არა გვქონდა, ფქვილი გვეყიდნა, კარი-კარს დავდიოდით, პურსა ვესესხებოდით მთელი ორი კვირა? არ დაიჯერებ, მაი, ეხლაც ხშირად ისეთ ყოფაში ვართ ხოლმე, რომ აბაზი არა გვაქვს, ხორცი ვიყიდოთ.

მაია. ვიცი, განა არ ვიცი?

სოლო. მერე ვისი ბრალია? მამაჩემმა ლოთობასა და ცხენებზე გადააგო იმოდენა მამული. ეხლა-კი მეზურნეთ სოლომანას თვალებში შესცქერის გოშპარასავით; ისე გეეშლება ხოლმე იმ ნამოსამსახურალს, ასე გონია წვრილი მარგალიტიაო. აი ეხლაც გაიძახის, უნდა უკანასკნელი ზვარი დავაგირავო და ქალაქში წავიდეო. აბა რას იზამ, წინააღმდეგობა როგორ გაუწიო? უჩივლო, რომ აპეკა დაუყენონ მამაჩემსა? ქვეყანაში ხომ შევირცხვინეთ თავი? ეგ-ღა გვაკლია.

ბაბე. არა, გენაცვალე, შვილო, მაგას ნუ იზამ, ერთად ერთი-ღა სახელი შევვრჩენია ქვეყანაზედ და ის მაინც წმინდად შევინახოთ.

მაია. ოღონდაც რომ თქვენისთანა პატიოსანი სახელის დალაქავება ულმერთობა იქნება.

სოლო. ნუ გეშინიანთ, ამასაც მალე მოვესწრობით, იმედიანათ იყავით!

ბაბე, მამაშენი მოდის და, გენაცვალოს დედა, ნუ გააჯავრებ!

### XII გამოსვლა

იგინივე და თამაზი შემოდის.

თამ. გამარჯობა, გიორგი! (ხელს ჩამოართმევს. (სოლოს) დიდი ხანია მეეთრიე?

სოლო. კარგი ხანია, რაც მოვბრძანდი.

თამ. გახმი, გახმი!

სოლო. მზეო, დადექ! ვა, არა დგება! თუ-კი მზე არ დადგა, მე როგორ გავხმე?

თამ. აი შე ცოგლავ შენა! (ზურგს შეუბრუნებს. რამდენიმე ხანი სიჩუმეა).

სოლო. მაი, ერთი გამოცანა უნდა გითხრა; თუ გამაიცნობ, კურდღელაურის ზვარი შენი იყოს.

მაია. (ანიშნებს) კარგი, შენ გაზრდას, რა დროს ხუმრობაა?

ბაბე. სადილი მზათ იქნება, წამოდით დავსხდეთ. (უნდა აიწიოს).

სოლო. (შეაყენებს) მაიცა, ჯერ ადრეა, ჯერ თორმეტიც არ დაურეკიათ. მაი, გამაიცან, გამოცანას გეტყვი.

მაია. არა, შვილო, მერე!

სოლო. ეხლავე მინდა, მერე დაგავიწყდება და არც ჩუქების გუნებაზე ვიქნები.

მაია. თქვი, აბა.

სოლო. მაი, რა არის ისეთი დედამიწის ზურგზე, რომ არც თავი ჰქონდეს, არც ბოლო?

მაია. კიტრია!

სოლო. კიტრს თავიც აქვს და ბოლოც: მწარე ბოლო არ გიჭამია?

მაია. კვერცხი... არა, კვერცხი არა! ქვა?

სოლო. ქვასაც უპოვნი ერთ თავსა და ერთ ბოლოს; ერთი მხარე რომ თავი იყოს, მეორე ბოლო იქნება. ვერ გამოიცან. თვლავს გაძლევ!

მაია. თუ ქვა არ არის, მაშ რა იქნება!

სოლო. ვერ გამაიცან... ტფილის ქალაქი მამიცია!

მაია. ვერ გამოვიცნობ, შვილო, რა დროს ღა ჩემი გამოცანებია?

სოლო. მაშ იალღუზიძის ქონება დამიმტკიცე და გეტყვი.

მაია. შენი ჭირის სანაცვლო იყოს!

სოლო. თავია, მერე იცი ვისი თავი? ქართველის კაცისა, ქართველისა!

მაია. ყოჩაღ, ბიჭო! მართლა, თავს ან რა თავი უნდა ჰქონდეს, ან რა ბოლო! აბა ეხლა მე გეტყვი გამოცანას: რა არის ისეთი დედამიწის ზურგზე, რო არც თავი აქვს, არც კუდი, ორი ბოლო კი აქვს?

სოლო. ლედლის თავია, არა მაშ?

მაია. გამოიცანი, წადი იალღაშვილს აუწერე, რაც-კი რამ აბადია.

სოლო. აბა ეს გამოიცან: ვინ იყო ის კაცი, რომ ხალზე იჯდა, ხალი ისე გამოაცალეს, რო ვერც-კი გაიგო; ჭილობზე დარჩა, მაგრამ ჭილობიც ისე გამოაგლიჯეს, რომ ვერაფერი იგრძნო; წამოდგომის მაგიერად ჩვეძინა კიდეც. წინანდალი და ნაფარეული მომიცია!

მაია. არა, შვილოსა, მაგ სოფლებს უკან წამართმევენ.

სოლო. ბათუმი მიჩუქებია, მაინც ხომ უპატრონო ქალაქია!

მაია. შვილო, ძნელია, ვერ გამოვიცნობ, ისევ შენა თქვი.

სოლო. მამაჩემმა უეჭველად უნდა იცოდეს, არ იტყვის თორე.

თამ. ხმა ჩაიკმინდე, თავს ვინ გიყადრებს!

სოლო. აკი ვამბობდი! მაშ ჩემი იყოს ბათუმი, ვიტყვი: ის კაცი ქართველი თავადია. არა მაშ, მაი? ჰა, ჰა, ჰა!..

*) იხ. „ივერია" № 181 და 182.

თუ აგრე რიგად ძნელია შეითვისონ და შეიხორცონ გუმანიური მხარე განონმდებლობისა? აქ საძნელო რა არის? სენატი ამბობს: თუმცა სამოსამართლო წესდებულებანი ნებას აძლევს ბოქაულს აუწეროს გლეხს, რაც-კი რამ აბადია, მაგრამ რადგან ამაზე წინ დადგენილი კანონი ამის ნებას არ იძლევა და რადგანაც ეს კანონები გაუქმებული არ არის, ბოქაულებმა უნდა იხელმძღვანელონ წინანდელის კანონით და არა შემდეგში დადგენილითაო. მორჩა და გათავდა. აქ სადავო რა არის? სენატის განმარტება კანონისა ყველასათვის სავალდებულოა, მაგრამ ეტყობა, კანონსაც ადვილად აუხვევენ გვერდს, როცა საჭიროა და ვისთვისმე სახეირო.

სენატის გუმანიური განმარტება კიდეც რომ შეითვისონ ჩვენმა სასამართლოებმა და მისმა წვრილმანმა აგენტებმა, მაინც ეს ვერ დაიხსნის გლეხის მეურნეობას დაღუპვისაგან. საქმე იმაშია, რომ მეთორმეტე ტომის 384—407 მუხლი, რომელიც უკრძალავს გლეხის მოძრავ ქონების გასყიდვას, შეეხება მარტო სახაზინო გლეხებს, ე. ი. იმისთანა გლეხებს, რომელთაც მამული არა აქვთ. იმათი ნაჭერი მამული ეკუთვნის თვით ხაზინას და მაშასადამე, არც გასყიდვა შეიძლება იმისი. სულ სხვა მდგომარეობაში არიან დროებით ვალდებულნი გლეხნი, რომელთაც ნადელი შეისყიდეს და მოსაკუთრენი გახდნენ. 165 მუხლი «გამოსყიდვის დებულებისა» (пол. о выкупѣ) ნებას აძლევს დროებით-ვალდებულ გლეხებს, შეისყიდონ თავიანთი ნადელი. რასაკვირველია, გამოსყიდული ნადელი იმათი საკუთრება ჰხდება და მაშასადამე მისი გასყიდვა ვალში შესაძლებელია. თუ-კი სასურველი არ არის მთავრობისთვის, რომ გლეხი უიარაღო და უსაქონლო დარჩეს, უეჭველია, უფრო სასურველი არ იქნება, რომ იგი უმამულო დარჩეს და ბოგანო კაცი შეიქნეს. მაშასადამე, სასურველია, ეს სტატია ან სრულიად მოისპოს, ან ისე შეიცვალოს, რომ გლეხის ნადელი ხელ-შეუხებელია და მისი გასყიდვა კერძო ვალში შეუძლებელიაო. ამ სამართლიანის ზომით გლეხ-კაცობას ასცილდება თავიდგან ის საშინელი მომავალი, როცა იგი იძულებულია მამულიდგან ცალიერ-ტარიელი დარჩეს.

ამ ბოლოს დროს რუსეთის გაზეთებმა ხმა დაჰკრეს, ვითომც ამ გვარი პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია და მალე წარადგენს სახელმწიფო საბჭოში განსახილველადაო. უეჭველია, სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებს პროექტს და ამით უზრუნველ ჰყოფს გლეხის უძრავს ქონებასაც, როგორც უზრუნველყოფილია მოძრავი ქონება.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** თუმცა ბევრჯელ იყო ნათქვამი, რომ საბრალო ბავშვებს ღამე ხშირად პირველ და ორ საათამდე ბალებში დაათრევენ მშობლები და ცოდვანი არიან, კარგი იქნება, ყურადღებას მიაქცევდნენო, მაგრამ ვინ შეისმინა. ჩვენს „ობრანიაში“ თითქმის ყოველ სამშაბათ-შაბათობით კარგა მოშუაღამეებამდე დაჰყავთ შეუბრალებელ მშობლებს ექვსის-შვიდის წლის ყმაწვილები. ასეთივე ამბავია კრუჟოკშიაც. ამ კლუბში წარსულს ოთხშაბათს საყმაწვილო საღამო იყო გამართული. ჩვეულებრივ, ეს საღამო ათ-თერმეტის საათის ნახევარზედ უნდა გათავდეს და ბავშვები დაიშალნენ, მაგრამ, ამ წესისა და რიგის წინაამდეგ, ზოგიერთი ათის-თორმეტის წლის ყმაწვილი რატომ შუაღამისასაც იქ არ დაღოღიალებდა უგზო-უკლოდ. ამ ორს კლუბს, ახლა „Семейный“ ბალიც მიემატა. ამ ბალშიაც თითქმის ყოველ საღამოს საიდგანღაც თავს იყრიან სულ პაწაწა ბავშვები და ოპერეტების მოსმენით იმახინჯებენ გონებას. ნუ თუ დრო არ არის, ამ სისაძაგლეს ბოლო მოეღოს როგორმე?!

*** ყოველივე მოარულ-სენისა და ჭირის დამანიავებელ-დასაბუდებელი ალაგი სწორედ მთა-წმინდაა. მთელის წლობით რომ იცხოვროს ამ ალაგას ათას გვარმა ავადობამ, არც ხმას გასცემს ვინმე არც ქირას გადაახდევინებენ და ძალიანაც მოეწონება იქაურობა. თითქმის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ, მაგალითებრ, მორე მთის ქუჩაზედ ან მკვდარს კატას წააწყდებით და ან გახრწნილს ძაღლის ლეშს, თითქოს პირუტყვების სასაფლაო იყოს ეს ქუჩაო. საკვირველია, რატომ არავინ ამოიღებს ხმას. აბა ამაზედ ითქმის აი, „სოფელი ენახე უძაღლო, შიგ გაეიარე უჯოხოო“-კი არა, ხალხი ენახე უთოფ-უჯოხო, ძაღლ-კატის ლეშით ავსებ სოფელიო!

*** ბორჯომი: ამ ზაფხულის განმავლობაში ხშირად შეხვდებოდით ტფილისის გაზეთებში აწერილს ამბებს, თუ რა განსაცდელს ითმენდნენ საქართველოს-სამხედრო, ხაშურ-ბათუმის გზატკეცილებზე მოსიარულენი ფოსტის სადგურის პატრონთა მეოხებით. ყველა ფოსტის სადგურში საჩივარის ჩასაწერი წიგნების ფურცლები გადაჭრელებულია საჩივრებით ფოსტის სადგურის პატრონზე. მიუხედავად ამდენის დრტვინვისა, ჯერაც არ მოუხდენია, ვისაც ჯერ არს, განკარგულება მგზავრთა კანონიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ყველა აქამდე მომხდარ უწესოებასა და ურიგობას შემდეგი შემთხვევა, რომელიც ამ ათის დღის წინად მოხდა ხაშურ-ბორჯომის გზატკეცილზე, მშვენივრად ასურათებს. ერთი კაცი ბორჯომიდგან შუაღამის 12 საათზე გავიდა ორ ცხენ შებმული რუსულის ეტლით და ხაშურში დილის სამს საათზე ბათუმიდგან მომავალ მატარებლისათვის უნდა ჩაესწრო მეორე დღეს გორში სასამართლოში საქმის გარჩევაზე დასასწრებლად. ვერც მეეტლის მიმართ მუდარამ, ვერც მუქარამ ვერა გააწყო-რა, ცხენები ვერ ააჩქარებინა და ამის წყალობით ბორჯომიდგან ღამის 12 საათზე გასული ხაშურში დილის 7 საათზე ჩავიდა!? ამ ორ ადგილს შუა 30 ვერსის მანძილია და ეს მანძილი 7 საათს უნდა იაროს ე. ი. საათში 4 ვერსზე ცოტა მეტი! ნუ დავივიწყებთ, რომ ხაშურამდე ერთი სადგურიცაა, სავანის ხევი, სადაც ცხენებს სცვლიან, თქმა არ უნდა, მეორე დღეს დანიშნულ საქმეს ვერ მიუსწრებდა და ხანდახან ხომ თითქმის ერთ წუთზედ-კაა ხოლმე დამოკიდებული კაცის ბედი და უბედობა.

*** ქალაქი ანაპა: ქალაქ ანაპაში სხვა-და-სხვა ტომისა და მილეთის ხალხი მოსახლეობს, სულ 10,000 კაცი. მართალია, ანაპაში 10,000 მკვიდრი ითვლება, მაგრამ ეს მარტო ქაღალდით არის ასე, ხოლო ნამდვილად-კი 4,000 სულის მეტი არ არის. დანარჩენები დიდი ხანია წავიდ-წამოვიდნენ ქალაქიდგან და კერძო კაცებისა და მემამულეთა მიწაზე დასახლდნენ. ასე იმიტომ მოხდა, რომ ანაპაში ცხოვრება ძნელია. მიწები ქალაქს მცირე აქვს, საძოვარი და სახნავი ნაკლებად, არც ჰავა უწყობს მაგრე რიგად ხელს ხალხს, რომ გული დაიმშვიდოს და მკვიდრად დაბინავდეს. ამ მდგომარე წელს ქალაქი მოელის შემოსავალს: ქალაქის საკუთრებიდამა და საძოვრებიდამ 3374 მ., ქალაქის სახლების დასაფასებელის 3,691 მ., სხვა-და-სხვა სავაჭრო და საწარმოები სადგურებიდამა და ქარხნებიდამ 2,008 მან. კიდევ მოელიან სხვა-და-სხვა შემოსავალს, ხოლო მთელის წლისა-კი უნდა იყოს 12,965 მან. გასავალია 14,130 მან., ასე რომ ქალაქს 2,000 მან. ვალი ედება. ანაპას საკუთარი თვით-მმართველობა არა აქვს. ქალაქს განაგებს პოლიცია. ანაპა ერთის შეხედვით დიდ-სოფელსა ჰგავს. ხშირად შეხვდებით მინგრეულ-მონგრეულს სახლებს, აგრეთვე ნახევარზე აგებულს და ისე მიტოვებულს. სახლებს უმეტესად ქვისას აგებენ. ქუჩები უსწორ-მასწოროა, მოუკირწყლავი. ქუჩებში დარგულ ხეებს აქა-იქ შეხვდება კაცი. ღამ-ღამობით ქუჩების გასანათებლად ინთება ოც-დახუთი ლამპარი. ანაპაში მრავალი ტრაქტირია და მათ შორის ორი სასტუმროც, რომელნიც, თუმცა სასტუმროებად იწოდება, მაგრამ ტრაქტირებისაგან არაფრით განირჩევა. რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ აქედგან 1889 წ. გაიტანა სხვა-და-სხვა ნაწარმოები 196,614 ფუთი და ამავე წელს დაზღვეულ იქმნა 417,554 მანათის სავაჭრო. ანაპაში ორი ექიმია და აქვე გამართულია მცირე აფთიაქი. არის ორ-კლასიანი სავაჟო სასწავლებელიც, საქალო სკოლა და სანაოსნო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ასწავლიან: არითმეტიკას, გეომეტრიას, ნაოსნობას, ტრიგონომეტრიას, გეოგრაფიას, სანაოსნო ვარსკვლავთ-მრიცხველობას და სხ. სასწავლებელში კურს შესრულებულებს ენიჭებათ სხვა-და-სხვა უფლება, ხოლო გლეხთა შვილები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბეგარისაგან, თუ ათის წლის განმავლობაში იმსახურეს სანაოსნო სამსახურში.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, ახირებული მოგზაური პეშკოვი ამ მოკლე ხანში ტფილისშიაც ჩამოვა თურმე.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ტფილისის სამუსიკო საზოგადოებამ სთხოვა მთავრობას სამუსიკო სასწავლებლის გახსნის ნებაო. ეხლა, „Листокъ“-ის სიტყვით, ნებართვა უკვე მოსულია

---

თამ. აი, შე უბედურო, შე უბედურო!

სოლო. შენზე ბედნიერი ხომ დუნიაზე არ მოიძებნება!

თამ. უბედურო, უბედურო!

სოლო. შენისთანა მამას რა ბედნიერი შვილი უნდა ჰყვანდეს?

თამ. რომელ მამას არ გააბედნიერებს შენი ცარიელი გოგრა? რის მაქნისი ხარ, ლაქიადაც არ ვარგიხარ, ლაქიადაც! ოჯახს რა იმედი უნდა ჰქონდეს შენი? დაეთრევი მთელი დღე კინტო-პაჭარნებთან,—ვინ იცის, სად დაალამებ და სად გაათენებ! გასალახანებულხარ, არც ღმერთი იცი, არც ხატი, არც დედ-მამის პატივისცემა; რაც რამ საქაჯეთში ცუდია, ღმერთს შენთვის დაულოცნია. აბა რისთვინა ხარ გამოსადეგი, რის მაქნისი ხარ?

სოლო. მამა ნახეო, შვილი ისე გამონახეო.

თამ. მამის ღირსი-კი ხარ, მამობა ნუ გაღირსოს ჩემმა გამჩენმა!

სოლო. ჰა, ჰა, ჰა, დედაკაცურად რომ იწყევლები!

თამ. ზახრუმალ! შე უმაქნისო, შე უტვინო ქმნილებავ! სხვას რო ვაჟი მიეცემა, სიხარულისაგან ქვეყანას იპატიჟებს, დღესასწაულსა ჰხდის ვაჟის დაბადებას; შენის გაჩენის დღე-კი ორივ თვალით უნდა მეტირნა. აბა რაში გამომადგექი? აბა ერთი მაიგონე, შენ სიცოცხლეში ცალი გროში შემოგიტანია შენს დაქცეულ-დანგრეულს ოჯახში? უთუოდ შევცოდე რამე ღმერთსა, თორემ შენ, თუ არ ჩემ დასასჯელად, ღმერთი გამოგგზავნიდა? რა სარგებლობა შეგიძლიან მოუტანო მოხუცებულსა და დაუძლურებულს მშობლებს? არაფრისაგან არაფერი. მერე რომ ამაყობს კიდეც,—უფროსი ვინა გდია, რომ ვეახლოვო! ვერ უყურებთ ვაჟ-ბატონსა! რაში ეკადრება თქვენს ბრწყინვალებას, რომ გაისარჯოთ და მცირე მადლობა გადაუხადოთ იმ დიდ მოწყალებისათვის, რომელიც თქვენთვის გაიღო?.. იცი, შე უბედურო ქმნილებავ, მაგ ადგილს როგორი განათლებულები მუხლზე დაჩოქილები თხოულობენ? შენ იმათ ფჩხილის ოდენა არც-კი იცი და გაიძახი-კი, თავი როგორ დავიმცირო, როგორ მოვიცადო უფროსის კარებთანაო? მე იალალშვილის კარებთან მთელის საათობით მიცდია ხუსხ ზამთარში, რომ შენი გაუმაძღარი კუჭი როგორმე ამევსო, და შენ-კი არა კადრულობ უფროსთან მიხვიდე! მაშ მე რა ვქნა, მაშ მე კაცობა აღარ შემრჩენია რაღა, ადამიანი აღარა ვარ რაღა?

სოლო. რასაც დასთესავ, იმას მოიმკი.

თამ. ჰო, ცუდი სამკალი გამომადექ, ბუხარიც არ აინთება, ისეთი მყრალი ჩალა გამომადექ! რას უნდა მოველოდე შენგან? რას უნდა მოელოდნენ შენგან ეს ორი დედაკაცი, ვთქვათ მე ღმერთმა უცებ მომკლა? რა გაქვს, რა გაბადია, რა უნდა ჭამოთ?.. უჭმელი ხომ ერთს დღესაც არ დაირჩენს თავსა შენი ოხერი ფაშვი? საიდამ რა შემოგივა? რა იმოდენა ზვრები გაქვს, რომ სახელები გავიწყდება? რა გაქვს ერთი კუდა ვენახის გარდა, ერთი სანახევრო წისქვილის მეტი?

სოლო. გიყვარდა, შვილო, გუთანი, დაჯე და მოუარეო.

თამ. ხმა გაიწყვიტე, მაყვედრი კიდევაც! რაცა მაქვს, რა შენი მხრებით არის შეძენილი?

სოლო. შენ ხომ ოფლში იწურებოდი! მე ცალი ვაზიც არ ამიკაფავს, შენ-კი იმოდენა მამული შთანთქე... აბა აქ დამნაშავე ვინ არი?

ბაბე. კარგი, თამაზ; კარგი, სოლო; დაწყნარდით, თავი ამტკივდა; სირცხვილია, სხვა არა იყოს-რა, ქვეყანა უნდა შეჰყაროთ?

სოლო. შენ ხომ შენი თქვი, აბა ეხლა მე მათქმევინე!

თამ. დაჩუმდი, სისხლზე ნუ მომიყვან!

სოლო. ეჰ რა პატიოსნებაა, გაილანძღო და მე-კი სიტყვაც არ მათქმევინო?

თამ. შენისთანა თავ-გამოფიტულმა რა უნდა თქვას გასაგონარი? წადი, გირჩევნია, ილოთო, იპაჭარნო, პატიოსანს ოჯახში შენ ადგილი არა გაქვს.

სოლო. თუ მაგრეა, ისა სჯობია შენს თავს მოუარო; იმ დღეს, აღარ გახსოვს?—ლაზაზანას ტრახტინიდამ რომ ცნობა-დაკარგული წამოგიღეთ?

თამ. (მუშტებ მოღერებული გაიწევს) ხმა! (ბაბე, მაია, გიორგი დაიჭერენ. მელო ადგილიდგან არ დაიძვრება).

| | |
|---|---|
| ბაბე | თამაზ, გენაცვალე, ნუ ჯავრობ! |
| მაია | ნუ ჯავრობ, ბატონო და მამავ, აპატიე, არ ეყურება, რას ამბობს! |
| გიორგი | თამაზ, დამშვიდდით! სოლო, წადი, გაიარე საითმე! |

სოლო. გული გამისქდა სწორეთა, გაუშვით რაღა!

| | |
|---|---|
| ბაბე. | გენაცვალე, სოლო, თუ ერთი ბეწო ჩემი პატივისცემა კიდევა გაქვს, გადი კარში. |
| მაია. | ნუ ხარ ურჩი, შვილო, დედა მაინც შეიბრალე. (დასვამენ თამაზას) |

თამ. მომშორდი თვიდამ, თვალის ეკალივით მეჯავრები! (რამდენიმე ხანი სიჩუმეა) შენ გინდა რო შენის ხელით გამითხარო სამარე და შიგ ჩამაგდო! აბა ეცადე, ღმერთს მაგის მეტი შნო არ მოუცია შენთვის!

სოლო. ტყუილად ილანძღები, ყველაფერში მარტო შენა ხარ დამნაშავე...

ბაბე. გადი, შვილო, კარში, გინდათ მამიდნოთ?

სოლო. მაიცა! ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე, მე-კი მაბრალებ; შენ რომ შენი უკანასკნელი ზვარი მებურნუთეს დაუგირავო, მერე ოჯახის სიმშილს ხომ მე დამაბრალებ; ერთად-ერთი დამნაშავე შენა ხარ! ან, ერთი მითხარ, რა უფლება გაქვს, რო სარგებლობა რამ მომთხოვო, როცა ჩემთვის არც სწავლა მოგიცია, არც ხელობა გისწავლებია? შენ რომ მაშინ, როცა იმოდენა მამული გქონდა, მე გიმნაზიაში მიგეცი, ეხლა ხომ ოჯახი შენს ანაბარას არ იქნებოდა, შენ-კი იმოდენა ქონება ერთიბეწო სტომაქში დაიტიე. აბა სინიდისიანად გადასჯერ, აქ დამნაშავე ვინ არის. ეხლა-კი შენსავით არ მოვიქცევი, ოც-და-ხუთ მანეთისთვის მასხარასავით იალალშვილს სახლში არ შევცინი!

თამ. (წამოვარდება და სკამს ხელს წამოავლებს, უნდა ესროლოს. ბაბე, მაია და გიორგი დაიჭერენ) მომშორდი აქედამ, თორემ დაგწყევლი, დაგწყევლი საუკუნოდ! მამის წყევლით დაგწყევლი!

ბაბე. გენაცვალე, თამაზ!

სოლო. ძალიან შემეშინდა. გული მიმდის!

და შინაგან საქმეთა მინისტრს ამ სასწავლებლის წესდებაც დაუმტკიცებია. ამ ჟამად სადგომის მზადება-მოწყობაში არიან და 2 სექტემბერს სკოლაც დაიწყებს მოქმედებას.

*** «Новое Время»-ს სიტყვით, ამ შემოდგომაზე გზათა სამინისტრო შეადგენს კომისიას, რომელმაც პროექტი უნდა განიხილოს კავკასიის უღელ-ტეხილზე რკინის-გზის გაყვანისა. ეს პროექტი შეუმუშავებია და პარიჟიდგან გამოუგზავნია საფრანგეთის კაპიტალისტთა ამხანაგობას.

*** ამ თვის 23, მიხეილის ქუჩაზე, კურცოვის სახლში ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლის თევდორე მიქელის ძის ზაგასიას ლუდხანაში კარების შუშა შეამტვრიეს და გაიტანეს 40 მან. ფულად, შევერცხლილი ხანჯალი, 23 მანეთად ღირებული, 4 მანეთიანი 2 ჩაის კოვზი, პატენტი და ნოქრის მოწმობანი, 120 მანეთის თამასუქი. სამი პასპორტი და ორი მოწმობა სამხედრო ბეგრის გადახდისა. ეჭვი ჯერ არავისზედა აქვთ.

*** 22 ამ თვისას, ნაშუადღევის სამს საათზე, ტფილისის მცხოვრებელი არტემ გრიგორის ძე ტერ-ოჰანეზოვი, რომელიც ავლაბარში სცხოვრობს, ავლაბრის პატარა ხიდზედ ეტლით მოდიოდა, ხიდთან უეცრად გადმოხტა ეტლიდგან, მტკვარში გადავარდა და თავი დაირჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

---

## ნამცეცი-ქუცმაცი

მეცხრამეტე საუკუნე სწორედ მოტყუებისა და სიყალბის საუკუნეა. რას არ ჩასჭიდა ხელი ამ თვალთ მაქცმა ფალსიფიკაციამ, რა დასტოვა ბრჭყალ-გაუკრავი და სად არ გადაასწვდინა თავისი მმლავრი მკლავი. შეირთავ ცოლს და აღმოჩნდება, რომ თავით ფეხამდე ფალსიფიკაციაა—ჩასმული კბილები, მიმაგრებული ცხვირი, ბამბის მკერდი, შუშის თვალი და სხვა და სხვა; რძეს იყიდიდა, თურმე სახამებლით აკეთებენ; ღვინოში ერთი ცვარიც არ ურევია ყურძნისა; მწერლობაა-და, ვისაც მაგარ-მაგარის, ფერად-ფერად მოსართავით დამშვენებულ სიტყვების სროლა შეუძლიან, „ლამაზი" განება, როგორც ამბობენ ხოლმე, თუნდა ავი კარგისაგან ვერ გაერჩიოს და ხელის ჭუჭყისათვის თვით ჭეშმარიტება ცხრაჯერ გაეკრას სამარცხვინო ფიცარზედ, მაინც აქებენ: რა კალამი აქვს, როგორი წერა იცის! ჭკუა... ჭკუას ხომ დიდი ხანია ლილახანა აქვს გაცვეთილი. შეხედავ ადამიანს, რა უჭირს, ცხვირი ცხვირის ალაგასა აქვს, პირი—პირის ალაგას, წარბებ ზემოდ ჯვარის მაგის ლავაშივით უშველებელი შუბლი გაუპრტყელებია და ისე დადის, ასე გონია ქვეყნის ნააზრ-ნაფიქრი, მთელის საბრძნეთის ფილოსოფია ჭასხრაკში აქვს გატარებული და თავის ტვინის კოლოფში ჩაუჭედიაო, მაგრამ დააქცერდები-და, დიდის მინდორსავით მოხრიოკებულია და ხელის-გულსავით მოწმენდილ-მოსუფთავებული.

წარმოიდგინეთ, ამ წყეულ-შეჩვენებულმა ფალსიფიკაციამ ჭიდაობასაც-კი, ამ მამა-პაპათა წმიდა და შეუმწიკვლელს სახსოვარს, თავისი დაღი დაასვა. უწინ ჭიდაობდნენ, რომ მკლავის ძალა გამოეცადნათ, ღონეში გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სახელი მოეპოვებინათ. მოჭიდავე მაშინ გმირი იყო, ფალავანი და ღირსეულს მეტოქეს პატივის-ცემით ეკიდებოდა, არას უშილთავებდა; გამოდიოდა მოედანზედ და ხეირს არავერს დაგიმებდათ, თუნდა დაცემულიყო და თუნდა დაეცა მოწინააღმდეგე, მხოლოდ სახელი უღირდა მეირფასად, სახელი იყო იმის სასყიდელი, იმისი თავის მოსაწონებელი და სიქადული. ეხლა-და?..

ეხლა ეს სახელიც სახრავად და მწველედ ფურად, ქვეყნის თვალის ასახვევად და ჯიბის დასამზატებლად გადაიქცა. გლდანელმა მთელს საქართველოში სახელი გაითქვა, ამას წინად დიდის თავმომწონებითაც-კი გამოაცხადა, რომ ორმოცი, თუ სამოცი ფალავანი გავლახეო, მაგრამ რა ფალავნები იყვნენ, რატომ არ იკითხავთ? ყოველ კვირა დღეს იტალიის ბაღი სავსეა და გაჭედილი ხალხით, ყოველი ხელოსანი კაცი, იქნება, იმ დღეს ხორცს აკლებს ცოლ-შვილს და ორი აბაზი ამ ბაღში მიაქვს, რომ ღონისა და ხერხის გამკლავების ცქერით დასტკბეს. აჭიჭყინდება ზურნა. ერთის მხრით გმირთ-გმირი გლდანელი გამოდის, გულ გაღეღილი და ხელებ-ამკლავებული, მეორე მხრეს—ვიღაც უცნობი, თუნდა კარგის შეხედულობისაც იყოს. ჩამოუვლიან ერთმანეთს, წამოიკიდებს კუდა და იტალიის სარბიელზედ ტულაპისავით გაკრავს. ერთიც წამოდგება, მეორეც; ერთიც ფულს ჩაიდებს ჯიბეში, მეორეც... ხალხი-კი ჯიბე-დამჩატებული ბრუნდება სახლში და თავის ქნევით ჰფიქრობს, რაზედ დავხოცე ცოლ-შვილი შიმშილითაო!!

მერე საიდგან იბადება ასე ორმოცობით გმირიო, იკითხავთ, როცა უწინ კარგი, ნამდვილი მოჭიდავე სულ ორი-სამი ძლივს უოფილაო? აი საიდგან: მოჰკრავს გლდანელი, ან სხვა ვინმე რომელსამე ზურგ-განიერსა და ბრგე კაცს ქუჩაზედ თვალს, მივა და შეეაჭრება. აი ერთი ლაპარაკი ჩვენის განთქმულის მოჭიდავისა და მედროვე ალაჯანისა:

მოჭიდავე: მოდი, ერთი დამეჭიდე.

მედროვე ალაჯანა: რას ამბობ, კაცო, ჩემს დღეში არავის დავჭიდებივარ და შენ როგორ შემოგეტოლო?

— რა გიშავს მერე, ბევრი-ბევრი—წაგაქციო. სანთელი ხომ არა ხარ, რომ დადნე. ოც-და-ხუთს მანეთს მოგცემ, დამეჭიდე. შენ არა დაგიშავდება-რა და ამდენს ფულს-კი ერთს თვეშიაც ვერ აიღებ. თანახმა ხარ?

მედროვე ალაჯანა უოყმანობს.

— ჰა, ხუთი თუმანი, თუ წაგაქციო; თუ წამაქცევ, ათ თუმანს მოგცემ!

ალაჯანაც თანხმდება, და ან რატომ არ დათანხმდება: დილით საღამომდის დროგს დაათრევს, შურის ფულად ხუთი შაური ხეირი ვერ აუღია. აქ-კი ბედი კარზედ მოსდგომია, ნახევარ საათს ზურნაზედ თამაშობისათვის ხუთს თუმანს აძლევენ, და არ აიღოს, გიჟი იქნება. წააქცევენ? რა ვუყოთ, წააქციონ რა, მე ვიცი გვერიშვილობიდგან ჩამოვარდება...

თანხმდება და ჭიდაობს. რაღა თქმა უნდა, ზემოდ-კი არა, ქვეშ მოჰყვება, ადგება, ნახერხს გაიბერტყავს, ხუთ თუმანს ჩაიდებს და ღიღინით გაუდგება გზას. გლდანელიც თავის დიდს ლუკმას ჩაიჯიბავს და დიდის რიხითა და ძლევამოსილობით აცხადებს: ორმოც-და-ათი ფალავანი გავლახეო! მოდი და ნუ იტყვი, რომ ეს ორმოც-და-ათი გმირი ერთის მოჭიდავის ნეკადაც არა ჰღირსო. დიად, ქვეყანა გაფალსიფიკაცავდა, ყველგან მოტყუებაა, ყველგან სიყალბე, გვენათლდით, მა რა ოხრობაა!

დუმ-კო

---

## დაბა ტყიბული

(მოწერილი ამბავი)

ხევი, 9 აგვისტოს. ხევის მკვიდრთა შორის ვიდრე დღევანდლამდე თითქმის ყველა საფუძვლიანი სიგელებიც-კი ისე საიდუმლოდ ინახებოდა, რომ კაცმა არ იცოდა, ვის რა სიგელი და ძველებური საბუთი ჰქონდა, დღეს-კი, მიუხედავად იმისა, ქაღალდი საფუძვლიანია, თუ სულ უსაფუძვლო, ყველა იმასა სცდილობს, მიწის მზომავს კომისიას წარუდგინოს და თავისი თავი მესაკუთრედ გამოაცხადოს. სწორედ ამ მიზეზის გამო ამ დღეებში მომიტანეს გადასაწერად ერთი ძველებური სიგელი, ხბოს ტყავზედ დაწერილი, ბოძებული ერისთავის ნუგზარისაგან. ეს სიგელი იმითია შესანიშნავი, რომ არღვევს მოხუცის გოგბაიძისაგან „ივერიის" მე-57 №-ში არშის ციხეზე მოთხრობილის ერთს ალაგს და ასაბუთებს ნადირას ვინაობას; მაგალითად, მოხუცი გოგბაიძე სხვათა შორის არში ციხეზე მოგვითხრობს, რომ ბოროტი ერისთავი სადოცავად მოსულმა გუდა-მაყრელმა ნადირამ მოკლა ცოლისა გამო, ხოლო დღეს ამ სიგელიდგან-კი სულ სხვა სჩანს: ნადირა ყოფილა მოხევე სოფელ გაიბოტენიდგან გვარად ხუცურიძე და არა გუდა-მაყრელი. აი თვით იმ სიგელის შინაარსიც, რომელიც ნადირას მოხევეობას ასაბუთებს:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, მამისა, ძისა და სულის წმიდისა მეოხებითა, ყოვლად წმიდისა და ყოველთა წმიდათა მისთა, უკუნისამდე ჟამთა და წელთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძე მე ნუგზარ ერისთავმან, ჩემმა შვილმან გიორგიმ და ზურაბმა და დათუნამ, შენ ხუცურიძეს ნადირას შენსა ქალსა თანდარასა, ასე რომე ჩემი ერთგული უმა იყავ და არშაში იდექი მეთოფეთ. მოგიხდეს კაცნი, შენ კინაღამ არ მოგკლეს, გამოიხვეწე, ციხე წაგართვეს და მათ თავიანთი მეთოფე კაცები შეიყვანეს. როდესაც ღმერთმა დრო მოგვცა, ჩვენი ამბავი მოგწვდა, დაიწყე სამსახური და შეუტანე ერთი საპალნე ღვინო, გაუმასპინძლდი, ქალი მეღვინეთ დაასვენე და დაათვრე ისინი. რახან დაიძინეს, გაუღე კარი ჩემს შვილსა და შეუშვი ციხეში; რაც დასახოცი იყო დაახოცინე, რაც არა და ცოცხლად მომგვარე. არა მოგიდგეს-რა ჩემი კარზე, იმის მეტი, რომ შენი სახლის მეტი არშის ციხეში არ იდგეს. ამ სამსახურისათვის ერთი საგოგონო (?) და ნახევარი მამული „მასალაკური" სითარხნით მომიცია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობაზედ და სამსახურსა შინა».

ბოლოზე ასე აწერია: „მე არაგვის ერისთვის შვილს ოტიასაც წყალობა მიქნია". ბეჭდები და ქორონიკონი სიძველისა გამო აღარ ეტყობა.

ნადირა ხუცურიძის მემკვიდრეებს აზრად აქვთ, რომ, მოვა თუ არა სოფელს გაიბოტენში მიწის მზომავი კომისია, მაშინვე ზემოდ ნათქვამი საბუთი წარუდგინონ და არშის ციხე თავიანთ საკუთრებად გამოუცხადონ. ამასთანავე ნადირა ხუცურიძის მემკვიდრენი ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ თვით ნადირა ხუცურიძე და იმისი ძმა არშის ციხეში, წმ. გიორგის ნასვენად დაქცეულს ეკლესიაში არიან დასაფლავებულნიო.

გაბრიელ ბედოშვილი

---

## რუსეთი

წელს ლონდონში მოხდება კონგრესი ორიენტალისტებისა და პარიჟში

---

თამ. წყ... (ბაბე პირზე ხელს აფარებს).

მაია. } წადი, თუ ღმერთი გწამს, აქედამ სადმე!
(მივარდებიან სოლოს)
გიორგი. } სოლო, გადი კარში, ნუ ჯიუტობ!

სოლო. მართლაცა და წავიდე, სისხლს რაზე ვიფუჭებ! (გადის).

ბაბე. (ტირილით) თამაზჯან, გენაცვალე დამშვიდდი, წავიდეთ იქით ოთახში! (ბაბესა და მაიას იდლიაში ხელ მოჭიდებული გაჰყავთ).

XIII გამოსვლა

მელო და გიორგი

კარგა ხანს სიჩუმეა

მელო. დღევანდელი დღე ოქვენთვის დაუვიწყარი იქნება, როგორც უუბედურესი თქვენ სიცოცხლეში. ზღვა ცრემლი დაიღვარა თქვენს აქ ყოფნაში, რაც თქვენ ყურთ ყვირილი მოესმა, იმდენი ქუხილი მთას დაანგრევდა.

გიორგი. დამცინით? კაი გუნებაზე იქნებით.

მელო. ცუდი გუნება ღმერთმა მაშოროს.

გიორგი. გუნება-კი კარგი გაქვს, მაგრამ ძალიან ცუდ ფერზედა ბრძანდები. ავად ხომ არა ხარ?

მელო. მერე თქვენ რა? ვითომ თქვენთვის ძალიან საინტერესო იყოს?

გიორგი. ფოლორცობა აქ რა საჭიროა.

მელო. ფოლორცობა-კი არა, მე იმას ვამბობ, რო თქვენთვის ჩემი ავად თუ კარგად მყოფობა სულ ერთი უნდა იყოს.

გიორგი. განა ნაცნობი ნაცნობს არ მოიკითხავს ხოლმე?

მელო. ჰოოო! იტყოდით და გაათავებდით! მაშ გმადლობთ, არა მიჭირს-რა!

გიორგი. აბა მაგისთანები რა საჭიროა. ჩვენ ერთმანეთს ისე კარგად ვიცნობთ, რომ ჩვენში ამ კილოთი ლაპარაკი მეტია.

მელო. რასაკვირველია, ძალიან კარგი ნაცნობები ვართ, პატარაობითვე ერთად ვართ შეზრდილნი.

გიორგი. ეჰ, ისევ შენი დაიწყე!

მელო. მოგწყინდა ჩემი ლაპარაკი? მაშ გეტყვი: ძალიან ცუდადა ვგრძნობ ჩემს თავს; საშინელი გულზიდილი მაქვს, დილით ქვეშაგებიდგან ძლივს წამოვიწევი ხოლმე, ისეთი სისუსტე მემართება! თავის ტკივილი მაქვს და რეტიანივითა ვარ. რა იყო, როგორ გაყვითლდი?

გიორგი. (თავში ხელებს იტაცებს) ფუ, შე უბედურო თავო!

მელო. რა იყო, რა ფერი დაგედო, უქეიფოდ ხომ არა ხარ? გიორგი, მითხარ, რა იყო?

გიორგი. ეშმაკი და ქაჯი! რა უბედურს ვარსკვლავზე ვართ დაბადებული!

მელო. რა იყო არ მეტყვი? მოთხარ; გიორგი, რა იყო, რაზე გაყვითლდი. ადამიანის ფერი აღარ გადევს წყალი გამოგიტანო?

გიორგი. რად გინდა შენ წყალი? ფუ, რა ოხრული აგებულება აქვს დედაკაცსა!

მელო. გიორგი, გამაგებინე, რა გაწუხებს? რაზე ჯავრობ, მითხარ? რა არის, რა იყო?

გიორგი. ის იყო, რომ... გუნება ნაქცევადა ხარ!

მელო. (წაბარბაცდება) რა? რა სთქვი? (მუთაქაში ჩასდებს თავს და სტირის).

გიორგი. (ჩქარ-ჩქარა დადის) მეც რომ დამავიწყდა ეს, ასე მგონია, დედაკაცი ისეთივე აგებულებისა არ იყოს როგორც პირუტყვი! ფიქრადაც რომ არ მომივიდა ეს საუბედურო საქმე? რა უყო, რა ვქნა ეხლა? რა ჭირი ვჭამო, რა წყალში გადავვარდე? ტყუილად-კი არ დასწყევლა ღმერთმა დედაკაცი, ეშმაკის აგებულებისაა! (შედგება) აბა რა მოვახერხო? ქვეყანამ ხომ ქვით ჩაქოლა ეს უბედური ქალი, მე ხომ კარში აღარ გამომესვლება! რა უშველო? ერთად ერთი სახსარია. დაუყოვნებლივ ჯვარი უნდა გადავიწერო... მერე ხომ დაილუპა ჩემი იმედებით სავსე სიცოცხლე! არა, არ შეიძლება!.. მაშ ეს დარჩეს, ხომ თავს მაიკლავს?—მაშ ჯვარი დაიწერო? თამრო? იმოდენა მამული, მთელი სიმდიდრე, ადამიანური ცხოვრება? გაქრეს რაღა საპნის ქაფივით? შევირთო? მერე რა ცხოვრება მომელის? არა, არა! წავალ, მოვშორდები აქაურობას! უბედურო მელო! მშვიდობით! (გადის).

მელო. გიორგი! სად მიხვალ? თუ ერთი ნაპერწკალი სიყვარულისა კიდევ შეგრჩენია, ნუ დამაგდებ ამ ყოფაში! რა ვქნა, რა ვუყო? ქვეყანამ რომ გაიგოს, ხომ დავამხე ოჯახი... არც დედა იცოცხლებს თავსა, არც მამა, ქვეყანაში თავი მოეჭრებათ! გიორგი, ჯერ მომკალ, მერე საცა გინდა, იქ წადი! ვიცი, რომ აღარ გიყვარვარ: თუ სიყვარული ვერ გაიმეტე, ერთ ხანჯალს მაინც ნუ დაიშურებ, მომკალ!

გიორგი. გთხოვთ, ნულარ დამიჭერთ, ერთ წამს აღარ შემიძლიან აქ დახანება!

მელო. მაშ მე ჩემს სინაბარას მაგდებ რაღა? ხომ ჰკვიდამ შევცდი! ერთი სიამოვნება აღარ მოგაგონდება: ჩემგან? დაგავიწყდა? წადი, წადი! დღეს მარტო შევცდე ჰკვიდგან, შენ-კი ერთხელაც არ მოგიგონებ, იცოდე თავის დღეშიაც არა!

გიორგი. მშვიდობით, დრო არა მაქვს! (მიდის)

მელო. მაიცა, სად მიხვალ? გარბიხარ ტურასავით? წადი, მცხვენიან შენი ქცევისა! წადი, წადი, აღარ მოიხედო!

გიორგი. ეჰ! (ხელს დაიქნევს და მიდის)

მელო. მიხვალ რაღა, გული ხრცაკი გეტკინა? ერთი ბეწოხან მოიცა! (კარებში შეაყენებს) ხელის ჩამორთმევაც-კი არ გინდა, ეს ხო უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა იქნება? მიეშურები იმ... იმ... თამროსთან?.. ღმერთმა ბედნიერება მისცეს... ხელი მამე უკანასკნელად!..

გიორგი. (მივა ხელს მისცემს) მშვიდობით!

მელო. (ტირილით დაუწყებს ხელზე კოცნას) ნუ მართმევ, უკანასკნელია!.. ნება მომე... უკანასკნელად მოგეხვიო!.. (მოეხვევა და სახეს უკოცნის) მოგწყინდა? წადი, წადი! ეხლა შეგიძლიან წახვიდე! წადი! (ისევე ეხვევა და ტირილით გულში ეკვრება)

გიორგი. კარგი, ექ არავინ მოგვასწროს! (ხელებს იშორებს)

მელო. (მოხსნის ხელებს) მოგაბეზრე თავი? წადი, წადი! წადი ჩქარა!

გიორგი. მეშურება მშვიდობით! (გადის საჩქაროდ)

მელო. დაიცა ცოტა კიდევ! (ჩაიკეცავს) წავიდა, წავიდა, საუკუნოდ მომშორდა! (ტირის)

(დასასრული პირველ მოქმედებისა).

კრება არხეოლოგებისა. რუსეთის ყველა საარხივო კომისიასა და საარხეოლოგიო საზოგადოებას წინადადება მოუვიდა პარიჟიდგანაცა და ლონდონიდგანაც, რომ თქვენც მიიღეთ მონაწილეობა ორიენტალისტების კონგრესსა და არხეოლოგთა კრებაშიო.

— მომავალს შემოდგომაზე სახელმწიფო საბჭო განიხილავს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შემუშავებულს პროექტს ნავთის წარმოებისას. ამ პროექტის შესამუშავებლად ცალკე კომისია იყო შემდგარი.

— მთავრობამ გადასწყვიტა, რომ იმიერ კასპიის სადამოქნო დაწესებულებანი ახლად გახსნილს თურქესტანის ოლქს დაუქვემდებაროს.

— მთავრობას დაუმტკიცებია პროექტი რუსეთ-ალმოსავლეთის სავაჭრო ამხანაგობის წესდებისა. ამ საზოგადოებას საგნად ისა აქვს, რომ რიგიანად წაიყვანოს და გააძლიეროს ალებ-მიცემობა ოსმალეთთან და ალმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

— კიევის გუბერნიის უფროსმა საჩივრები შეიტანა ოლქის სასამართლოში გლეხების სახელით, რომ დაბებსა და სოფლებში ჩასახლებულმა ებრაელებმა კანონის წინაალმდეგ შეიძინეს მამულები გლეხებისა და ისევ უკან დაუბრუნეთო. გლეხების ვექილებად დანიშნული არიან საგუბერნიო მმართველობის მოხელეები.

— ქალაქ იაროსლავლში 1 აგვისტოს, სალამოთი, დიდი არეულობა მოუხდენიათ კარზინკინის ქარხნის მუშებს. ამ ქარხანაში რვა ათასი კაცი მუშაობს თურმე და მომეტებული ნაწილი არეულობაში რეულა. ეს უწესოება იმას გამოუწვევია, რომ მექარხნე ძლიერ მალ-მალე სულ უბრალო რამესთვის ჯარიმას ახდევინებდა თურმე მუშებს. არეულობის დროს მუშები დასცემიან საქონლის საწყობს და რამდენისამე ათასის თუმნის საქონელი ზოგი წაულიათ, ზოგი დაუმტვრევიათ და ზოგიც მდინარეში გადაუყრიათ. ფანჯრები ქარხნისა სულ ერთიანად ამოულეწიათ და შიგაც ბევრი რამ გაუფუჭებიათ. მეორე დღეს, 2 აგვისტოს, 60 კაცი დაუპატიმრებიათ, მოთავენი ამ არეულობისა. ზოგს ამ ჟამადაც იჭერენ და აპატიმრებენ.

— ვარშავაში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა 15 ამ თთვისას. სლიზკის ქუჩაზე სცხოვრობდნენ თურმე თეოფილე და გონორატა სკიბინსკები, ცოლქმარნი. ქმარი ყოფილა მოხუცი, ცოლი ახალგაზდა. გამომტყვრალა საყვარელიც. ქმარს რომ შეუტყვია ცოლის ღალატი, უთქვამს, მოიშალე, თავი დაანებე საყვარელს, თორემ ორივე შემომაკვდებითო. 14 აგვისტოს, სალამოთი, სკიბინსკის უთქვამს ცოლისათვის, სოფელში მივდივარ, საქმე გამიჩნდა და ხვალ სალამომდე ველარ დავბრუნდებიო. წასულა ქმარი, მოსულა საყვარელი. შუა ლამის 2 საათზე, როცა საყვარლები ერთმანეთის ალერსში ყოფილან, წამოსდგომიათ თავზე სკაბინსკი, რომელსაც განგებ მოეგონებინა სოფელში წასვლა. საყვარელს დროზე უშველნია თავისთვის, ფანჯრიდგან გადამხტარა და წასულა. ლამის სამ საათზე მეზობლებს საშინელი წივილკივილი შეჰსმენიათ, გამოცვივნულან კარში და დაუნახავთ, რომ სკიბინსკის სახლი ცეცხლის ალით ყოფილა სავსე. ზედაც თვით სკიბინსკი გამოვარდნილა, ტანზე ცეცხლი ჰქონია მოდებული და შეშლილივით დაუწყია ყვირილი: „ძლივს, ძლივს მივაყენე სასჯელი! ძლივს მოვკალ, ძლივს მოვუსპე სიცოცხლეო!“ როცა ცეცხლი გაუქრიათ, უნახავთ, რომ ამ ვარშაველს ოტელოს ნავთი ჰქონია გადასხმული ტანზე. საწყალი თავის მკვლელი მთლად შეხრუკულა და იმავ დღესვე დაულევია სული. ცოლისთვის ცულით გაუჩეხია თავი.

## წვრილი ამბები

იაპონიაში შავი ხოლერა გაჩენილა და ხალხი მრავალი იხოცება თურმე.

— ამ რამდენისამე დღის წინად ბერლინის პირველ დაწყებითს სასწავლებლების მოწაფეთა შორის ხმა გავრცელებულა, რომ ბერლინის სკოლებსა და ეკკლესიებში რაღაც მავნე სულები ეცხადებიან ბავშვებსაო. ზოგიერთნი მოწაფეთაგანი ეუბნებოდნენ თურმე თავის ამხანაგებს, რომ ჩვენის თვალით დავინახეთ გაკვეთილების დროს ალები, რომლებსაც ცეცხლის თავები ჰქონდათო. ამ ამბავმა საშინელი შიში გაავრცელა შეგირდებში, მეტადრე საწყალს ქალებს სულ განკალი მოსდიოდათ. 20 აგვისტოს, დილით 10 საათზე, როცა ყმაწვილები სასწავლო ოთახში შეკრებილან და გაკვეთილი დაწყებულა, ერთს მოწაფე ქალს საზარელის ხმით დაუყვირნია, „არიქა, მიშველეთ, სიკვდილმა ხელი წამავლო და მიყუგარო!“ ამის მიხედვით მთელი შეგირდობაც სულ კარებსა სცემია. გაუგონიათ ყვირილი სხვა ოთახებში და იქაც ის ამბავი მომხდარა. ყველა გარბოდა თურმე, საითაცა კი მოასწრებდა. სკოლის მთავრობას დროზე მოუსწრია და ალაყაფის კარები დაუკეტია, რომ ქუჩებს არ მოედვნენ გადარეული ყმაწვილებიო. ქალაქშიაც მალე შეუტყვიათ ეს ამბავი, გამწარებული დედები მოცვივნულან თავიანთ შვილებთან და სახლებში წაუყვანიათ. ბევრი ყმაწვილი ამ არეულობის დროს დასახიჩრებულა და ბევრსაც ხელი და ფეხი უღრძვია. როცა გამოუკვლევიათ ეს საქმე, აღმოჩენილა, რომ ის ქალი, რომელმაც არია ბავშვები თავის ყვირილით, ფანჯარასთან ახლო მჯდარა, სადაც ხე იდგა თურმე და ტოტები ფანჯარაში ჰქონდა შემოწვდილი. ქარს ტოტი გაუნძრევია, ბავშვს ლოყაზე მოჰხვედრია და იმას-კი ჰგონებია, სიკვდილმა წამავლო ხელიო, რადგანაც იმის ამხანაგები სულ ქაჯებზედ ელაპარაკებოდნენ თურმე.

— ამას წინად ლონდონში ერთს კაცს ვალში ტანისამოსი გაუყიდეს. ეს კაცი ძლიერ მდიდარი ყოფილა, მაგრამ ამ სამს წელიწადში 3 მილიონზე მეტი გაუფლანგავს თავის ლოთობასა და ქეიფში. როცა ფულები გამოჰლევია, უალბობით ფულის შოვნისათვის მიუყვია ხელი და რაღაც დანაშაულისათვის 6 თთვე ციხეშიაც ჩაუსვამთ. აუარებელი ხალხი მიაწყდა თურმე ამ კაცის ტანისამოსის გაყიდვას და, როგორც გაზეთები ამბობენ, ყველას ბლომად შეხვდებათ, რადგან ძლიერ ბევრი სხვა-და-სხვა ნაირი ძვირფასი ტანისამოსი ჰქონია.

— მთელს საფრანგეთში სულ 45 მილიონი ქათამია, რომელიც, თუ თითო ქათამი მანათად ვიანგარიშეთ, 45 მილიონ მანეთს ფულს შეადგენს. ყოველ წლივ ამ ქათმების მეხუთედი იყიდება და საკლავად, ე. ი. 9 მილიონისა. ამას გარდა ორი მილიონი მამალია, ორ მილიონ მანათად ღირებული. კვერცხის მდებელი ქათამი 35 მილიონია და ხუთ მილიონ წიწილასა სწვავს. გამოანგარიშებულია, რომ საფრანგეთს ყოველ წლივ 67420000 მანეთი შემოსავალი აქვს ქათმებიდგან, 30700000 მანეთ დაკლულ ქათმებიდგან და 36720000 მანათიც კვერცხების გაყიდვიდგან.

## დეპეშა

24 აგვისტო

მოსკოვი. დაიწყეს მოწყობა იმ შენობისა, რომელშიაც 1882 წელს იყო სრულიად რუსეთის გამოფენა. ამ გადაკეთებულ შენობებში გამართება პირველს მაისს 1891 წ. საფრანგეთის სამრეწველო გამოფენა. შუაგულ შენობაში მოთავსდება თვით გამოფენა, შენობის წინ, მოედანზედ გამართამენ შადრევანს იმ გვარს, როგორიც იყო პარიჟის გამოფენაზედ. ამის გარდა აპირებენ გამართონ კიდევ ორი თეატრი.

სამარა. დღეს მოვიდა აქა „კავკასისა და მერკურის“ საზოგადოების გემით „მემკვიდრე ნიკოლოზი“ ფინანსთა მინისტრი, რომელსაც თან ახლავს დირექტორი ვიტტე. ნავთ-სადგურზე მინისტრს მიეგებება გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის თავი, ქალაქის საბჭოს ხმოსანნი და საფინანსო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ნავთ-სადგურიდგან მინისტრი წავიდა ქალაქში, სადაც დაათვალიერა იმპერატორი ალექსანდრე მეორის ძეგლი.

პრაგა. აქ წყალ-დიდობაა. წყალმა დააქცია ხიდი მდინარე მოლდავაზე, რომელიც ხუთასი წელიწადი არსებობდა. ხალხი ბლომად დაიღუპა. მომეტებული ნაწილი ქალაქისა წყალმა წალეკა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველი იყო | გამყიდველი იყო | გარიგებულა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 51 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 130¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 11 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228½ | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 219 |
| —მესამისა | — „ | — „ | 211¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქიმოდ:

ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობა აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქიმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—36)

ყმაწვილი კაცი ემზადება გაკვეთილებს

და

ზომიერ ფასად

შეგირდებს ამზადებს გიმნაზიისა, რეალურ და საიუნკრო სასწავლებლისა და ინსტიტუტის ყოველ კლასში შესასვლელად. ჰკისრულობს აგრეთვე რეპეტიტორობასაც. მსურველს ქართულის ენის გაკვეთილებსაც აძლევს. ადრესი იკითხეთ «ივერიის» რედაქციაში. (5—5)

დედათა გიმნაზია მ. ა. სერპინეტ-არისტოვისა.

ამ სასწავლებელს ყოველივე უფლება აქვს მინიჭებული მთავრობის გიმნაზიებისა. ეხლა გადავიდა რტიშჩევის ქუჩაზედ, შმაკოვის სახლში. ბავშვებს ყოველ-დღე მიიღებენ ყოველ კლასისათვის. სწავლა 1 სექტემბრიდგან იწყება.

გიმნაზიასთან არის პანსიონიც, რომელშიაც მოწაფეებს იყვანენ სრულისა და ნახევრის ხარჯით. პანსიონში განსაკუთრებული ყურადღება ახალ-ენებისა და მუსიკის სწავლებასა აქვს მიქცეული. (3—1)

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და სალამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—5)

ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართვით ისყიდება

საქალებო ჰიგიენიური ბალიშები

მომზადებული სულემით შეზავებული ხის ბამბისაგან.

ძალიან მოხერხებული შემოსაკრავია მოწყობილის ქამრითურთ, ქალთა სახმარებლად რიგის დროს და მშობიარობის შემდეგ.



ქამრიანი ბალიში.

თორმეტი ცალი ბალიში ღირს 1 მან.

ქამრის ფასია 40 კაპ.—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება მოსკოვისა და პეტერბურგის ყველა სააფთიაქო და სადოსტაქრო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობია

ალექსანდრე ვენცელთან,

ს.-პეტერბურგს, ეკატერინეს უბანში, 26; მოსკოვს, კუტნაია სადოვაია, მალინინის სახლებში.

სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ ჩვენი ფირმა გასინჯეთ ყუთზედ.

(8—3)


Доз. ценз Тифлисъ, 24-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликъ, д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე